საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური

ქ. თბილისი **14 დეკემბერი, 2023 წელი**

„სატენდერო და საკონკურსო კომისიისა და სატენდერო და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 12 ივლისის N 16858 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

5 ერთეული სამ თვლიანი სკუტერის (ტრიციკლის) (CPV 34410000 - მოტოციკლეტები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე)

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
მიხეილ ახვლედიანი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ზვიად პაპიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სატენდერო კომისიის წევრები:
ლაშა სხიერელი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დიმიტრი მუჯირი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი ყენია - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
ნოე მამულაშვილი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი;
გივი ცქვიტინიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
იოსებ პატარიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე.

დღის წესრიგი:
5 ერთეული, სამ თვლიანი სკუტერის (ტრიციკლის) (CPV 34421000 - მოტოსკუტერები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა იოსებ პატარიძემ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებს, სხდომაზე დასამტკიცებლად წარუდგინა **5 ერთეული, სამ თვლიანი სკუტერის (ტრიციკლის) (CPV 34421000 - მოტოსკუტერები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)** ჩატარების შესახებ: ა) სატენდერო განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი ბ) სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიმდინარე წლის 19 ოქტომბრის N 105657-21-10 მოთხოვნის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დავალება.ამასთან, კომისიის წევრებს აცნობა, რომ 2023 წლის 22 ნოემბერს გამოცხადებული ელექტორნული ტენდერი **(NAT230023745)** დასრულდა უარყოფითი შედეგით, შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა არნიშნულ ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ფასის შესაბამისად.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის დამსწრე წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT).** ტენდერი გამოცხადდეს არაუმეტეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება - **101 250.00 (ას ერთი ათას ორას ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი)** ლარი **(დღგ-ს გათვალისწინებით);**
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვროს:
  ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული** დღის ვადაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლით განსაზღვრულ **,სამ თვლიან სკუტერებზე (ტრიციკლებზე)** საგარანტიო ვადა განისაზღვრება: **ექსპლუატაციაში შესვლიდან არანაკლებ 2 წელი ან 50 000კმ ,ამ უკანასკნელი პირობებიდან უპირველესის დადგომამდე.**

- შესყიდვის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს - 2024 წლის სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრები.

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით დამტკიცდეს, **5 ერთეული, სამ თვლიანი სკუტერის (ტრიციკლის) (CPV 34421000 - მოტოსკუტერები)**სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

კომისიის თავმჯდომარე: **მიხეილ ახვლედიანი** ----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **ზვიად პაპიძე** ----------

სატენდერო კომისიის წევრები:

ლაშა სხიერელი ---------- **ნოე მამულაშვილი** ----------

გივი ცქვიტინიძე ---------- **დიმიტრი მუჯირი** ----------

გიორგი ყენია ----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: **იოსები პატარიძე** ----------

LEPL REVENUE SERVICE

Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2023.12.14 18:31:37 +04'00'

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
მომსყიდველი	შემოსავლების სამსახური
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	19.12.2023 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	21.12.2023 14:00
დაფინანსება	2024 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	101`250.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე

დაამატე რჩეულებში

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 34400000 - მოტოციკლეტები, ველოსიპედები და მოტოციკლეტის ეტლები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 34421000 - მოტოსკუტერები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1`000.00 GEL
გარანტიის ოდენობა	1`013 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

: :

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

საბაჟო კონტროლის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გეზებსა და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე,თანამშრომლების გადასაადგილებისათვის, 5 (ხუთი) ერთეული ტრიციკლის შესყიდვა.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

ტექნიკური აღწერილობა:

გამოშვების წელი - არანაკლებ 2022 ;

საბურავები - წინ საბურავი 2 და უკან 1 ;

ძრავის მოცულობა - არანაკლებ 278 CC ;

საჭის გათბობა - საჭის ელ გათბობა ;

საწვავის სისტემა - ელექტრო მიწოდება (ინჟექტორი) ;

საწვავის მოხმარება - არაუმეტეს 5.1ლიტრი / 100 კმ-ზე ;

გაგრილება - სითხით გაგრილება ;

გადაცემათა კოლოფი - ავტომატური (ვარიატორი) CTV ;

სტარტერი - ელექტრო ;

წინა დაკიდების სისტემა - 2 საბურავი სახსროვანი ოთხ წახნაგოვანი ელექტრო ჰიდრავლიკური ბლოკირების სისტემით ;

უკანა დაკიდების სისტემა - ორმაგი ჰიდრავლიკური ამორტიზატორებით წინასწარ დარეგულირებული ზამბარებით ;

წინა და უკანა მუხრუჭი - დისკური ;

სავალი დისკი - ალუმინი ;

სამუხრუჭე სისტემა - ABS ;

სიგრძე/სიგანე - არანაკლებ 2000 მმ/ 780მმ - არაუმეტეს 2270მმ/960 მმ ;

სავალი ბაზა (საბურავებს შორის დაშორება) - არანაკლებ 1450 მმ - არაუმეტეს 1600 მმ ;

საჯდომი სიმაღლე - არანაკლებ 780 მმ - არაუმეტეს 795 მმ ;

ააღება - ელექტრო ინდუსტიული გაწოვით ელექტრო იმობილაიზერით მოცურების საწინაარმდეგო სისტემით (ASR) ;

ადგილების რაოდენობა - 2

ემისიის სტანდარტი - არანაკლებ EURO 5

შენიშვნა: შემოთავაზებული ტრიციკლი უნდა იყოს ექსპლუატაციაში არ მყოფი/ახალი და კომპლექტში უნდა მოყვებოდეს ახალი ზამთრისა და ზაფხულის სეზონის საბურვები.

გამარჯვების შემთხვევაში კომპანია ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის არანაკლებ 5 (ხუთი) თანამშრომელს გააცნოს შემოთავაზებული ტრიციკლის გამოყენების პირობები.

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1 ფასთა ცხრილი.xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

: :

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, აბზიანიძის ქ.N4;

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

კი

1.7.1 მიუთითეთ საგარანტიო ვადასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. მიწოდებულ სამ თვლიან სკუტერზე (ტრიციკლი) ვრცელდება გარანტია ექსპლუატაციაში შესვლიდან არანაკლებ 2 წელი ან არანაკლებ 50 000კმ, ამ უკანასკნელი პირობებიდან უპირველესის დადგომამდე.
2. საგარანტიო ვადაში, შესყიდვის ობიექტის სწორი ექსპულატაციის პირობებში, რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოსწორება ან/და ახლით ჩანაცვლება არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.
3. ქარხნული წუნის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის შეცვლა ახლით ან მიწოდებული საქონლის პირველადი მდგომარეობის აღდგენა არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.
4. აკუმულატორზე ვრცელდება არანაკლებ 6 თვიანი გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

5. გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებზე:

ა) ჰაერის/ზეთის ფილტრების გამოცვლა;
ბ) სხვადასხვა საპოხი მასალის შევსება ან დამატება
გ) მიწოდებული აქსესუარების, მოხმარებადი მასალების და, ზოგადად, ცვეთადი და ამორტიზირებადი ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას, კერძოდ:
სამუხრუჭე ხუნდები;
სამუხრუჭე დისკი;
პლომბები;
საბურავები;
აკუმულატორი;
ნათურები;
უნაგირი (saddle);
მილები ან სხვა რეზინის ნაწილები;
სარემონტო კომპლექტი;
გადასართავი კაბელები;
დ) ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაზიანება;
ე) ვ) გაუმართაობა და დაზიანება, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, მესამე პირის მიერ ზემოქმედებით (მათ შორის და არა მხოლოდ ვანდალიზმით, სამოქალაქო არეულობით, დანაშაულის შედეგად და ა.შ.) ან/და ამინდის ზემოქმედებით (მათ შორის და არა მხოლოდ, სეტყვა, მზე, წვიმა, თოვლი და ა.შ.);
ვ) გაუმართაობა და დაზიანება, რომელიც გამოწვეულია:

(I) სატრანსპორტო საშუალების არაკვალიფიციური პირების მიერ შეკეთების ან/და ცვლილების ან/და რემონტის შემთხვევაში, გარდა სპეციალიზირებული ციმციმა-სანათი დამონტაჟების პროცესში საჭირო ელექტრო გაყვანილობისა.

(II) გადახურების შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია სატრანსპორტო საშუალების ძრავში არასაკმარისი საპოხი მასალების არსებობით;

(III) იმგვარი აქსესუარების ან ნაწილების გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც არ არის ორიგინალი ან შესაბამისი ხარისხის, გარდა სპეციალიზირებული ციმციმა-სანათისა.

ზ) იმ შემთხვევაში თუ გარანტიის პერიოდში რეგულარული სავალდებულო სერვისი ან სხვა გვარის მომსახურება ჩაუტარდება სატრანსპორტო საშუალებას არა ოფიციალური სერვისში.

შენიშვნა: შემოთავაზებულ ტრიციკლზე შემსყიდველის მიერ, სპეციალიზირებული ციმციმა-სანათის დამოტნაჟების მიუხედავად, უნდა გავრცელდეს საგარანტიო პირობები.

დასტური საგარანტიო ვადებისა და პირობების თაობაზე წარმოდგენილ უნდა იქნას შერჩევა შეფასების ეტაპზე.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

კი

2.1.1 მიუთითეთ, თუ რა ინფორმაცია მოითხოვება შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით

წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი კომპანიის და მოდელის შესახებ, დანართი N1-ფასების ცხრილის შესაბამისად.

აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

კი

2.3.1 მიუთითეთ პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს, შემოთავაზებული ტრიციკლის მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზირებული არანაკლებ 1 (ერთი) სერვის ცენტრი ქ.თბილისში, ფაქტიური მისამართის მითითებით სადაც განახორციელებს ტექნიკურ მომსახურებას.

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. პრეტენდენტი უნდა იყოს შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ოფიციალური დილერი საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც გაცემული უნდა იყოს მწარმოებელი კომპანიის მიერ;

2.შემოთავაზებულ საქონელზე, მწარმოებლი კომპანიის მიერ გაცემული დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციის შესახებ წერილი (ასეთად ჩაითვლება მწარმოებელი კომპანიის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი ან პროდუქციის კატალოგი);

3. პრეტენდენტი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს: ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი (EEC) ემისიის სტანდარტით არანაკლებ EURO5 შემოთავაზებულ მოდელზე;

4. პრეტენდენტი ვალდებულია შერჩევა/შეფასების ეტაპზე წარმოადგინოს, შემოთავაზებული ტრიციკლის მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული/დადასტურებული ექსპლუატაციის დროს გეგმიური მომსახურების სახელმძღვანელო სადაც მითითებული უნდა იყოს შემდგომი გეგმიური მომსახურების მატრიცა;

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1.შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ამასთან შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2. ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს (არ უნდა იყოს დარღვეული) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების ფორმები (მათ შორის ნუმერაცია) და არსებობის შემთხვევაში მათში მითითებული აუცილებელი პირობები

:

3. თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულებები დაჯდება მრავალნიშნა ათწილადი, პრეტენდენტი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის ერთეულის ღირებულებები შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ღირებულებაც.

4. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიული წესით დამოწმებული, გარდა წინამდებარე ტენდერის 2.1.1 პუნქტით მოთხოვნილი წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი კომპანიის და მოდელის შესახებ ინფორმაციისა;

5. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

6.სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

7.სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

8.პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით ან კვალიფიცური ელექტორნული ხელმოწერით დამოწმებული.

9. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

4.1.1.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით, ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საშემფასებლო ან აუდიტის ან ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნასთან ერთად ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია, ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები) შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნის შემთხვევაში, დასკვნის გამცემი პირის

:

დოკუმენტის წარმოდგენა არ მოითხოვება.

4.1.1.2 ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;
სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯი)

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენიდან (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;˜

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

იოსებ პატარიძე, 595596456, i.pataridze@rs.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი